

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-324/მ - ვებგვერდი, 08.07.2020წ.



ଶ୍ରୀମତୀ ପାଦମୀ ନାନ୍ଦି
ଫାକିରମାନିଙ୍କିମହିଳା
ମନୋମାଳି, କୁନ୍ଦମିତି

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი
ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ღია/დახურული ტიპის აუზების, საუნებისა და აბანოებისთვის

ყველა ტიპის ღია და დახურული საცურაო აუზების მიერ სამუშაო სივრცეში განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ღია და დაბურული საცურაო აუზების ოპერირებისთვის უზრუნველყავით:
 - აუზის ყოველ 6 მ² ფართობზე 1 ადამიანის დაშვება;
 - საცურაო აუზების ძირითადი სათავსების შიდა დაგეგმვა იმგვარად რომ შეესაბამებოდეს ნაკადურობის ჰიგიენურ პრინციპს, რომლის მიხედვით, ვიზიტორების გადაადგილება ხდება ფუნქციური სქემით – გარდერობი, გასახდელი, საშხაპე, ფეხის აბაზანა, აუზის აბაზანა;
 - დაუშვებელია აუზში შესვლა აუზის საშხაპის გავლის გარეშე;
 - საცურაო აუზები უნდა მოეწყოს ისეთი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს აუზების აბაზანებში წყლის ცვლას. წყლის ცვლის ხასიათის მიხედვით დასაშვებია შემდეგი ტიპის აუზები:
 - რეცირკულაციური ტიპის აუზები;
 - გამდინარე ტიპის აუზები;
 - წყლის პერიოდული ცვლის აუზები;
 - ზღვის წყლიანი საცურაო აუზები, რომლებშიც რეცირკულაციური სისტემები არ არის რეკომენდებული და მიზანშეწონილია გამდინარე სისტემა, გაწმენდილი და გაუსწებოვანებელი წყლის სავალდებულო მიწოდებით;
 - აუზებში მიწოდებული წყლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგრნილებით განსაზღვრულ პარამეტრებს;
 - აუზების ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისი ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია აბაზანებში წყლის განახლება;
 - რეცირკულაციით წყლის განახლებისას ხდება მისი გაწმენდა, გაუსწებოვნება და წყალსადენის წყლის დამატება უწყვეტად, არანაკლებ 5%-ისა აუზის მუშაობის ყოველ 24 სთ-ში;
 - აუზების დეზინფექცია ტარდება წყლის გაშვების და მექანიკური გაწმენდის შემდეგ, მორწყვის ორჯერადი მეთოდით, თავდაპირველად დეზინფექტანტის 0,6-0,8 ლ/მ² რაოდენობით, ხოლო შემდგომ აქტიური ქლორის 100 მგ/დმ³ კონცენტრაციის ხსნარით, სადეზინფექციო ხსნარი ჩაირცხება ცხელი წყლით, მისი გაშვებიდან არაუდრეს 1 სთ-ისა.
 - აუზით სარგებლობის პერიოდში უნდა გაკონტროლდეს მადეზინფიცირებელი აგენტის ნარჩენი რაოდენობები წყალში (თავისუფალი ნარჩენი ქლორის კონცენტრაცია უნდა შეადგენდეს 0,3 მგ/ლ ან მეტს მინიმუმ 30 წუთის კონტაქტის შემდეგ pH- ზე <8.0. ნარჩენი ქლორი უნდა შენარჩუნდეს განაწილების მთელ სისტემაში);
 - საცურაო აუზების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს წყლის ხარისხის საწარმოო – ლაბორატორიული კონტროლი შემდეგი მაჩვენებლების განსაზღვრით და

ნიმუშის აღების ჯერადობით:

- ⇒ ძირითადი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ცოლიფორმული ბაქტერიები, თერმოტოლერანტული ცოლიფორმული ბაქტერიები, კოლიფაგი და ლეციტინაზა დადებითი სტაფილოკოკები), ასევე ამონიუმის აზოტის, ქლორიდების და აუზის წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოყენებული რეაგენტების ნარჩენი რაოდენობის შემცველობა – 10 დღეში ერთხელ;
- ⇒ ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები (სიმღვრივე, ფერიანობა, სუნი) – დღეში ერთხელ, დღის ან საღამოს საათებში;
- ⇒ გამაუსწებლივნებელი რეაგენტების (ქლორი, ბრომი, ოზონი) ნარჩენი რაოდენობის შემცველობა – აუზის მუშაობის დაწყების წინ და შემდგომ;
- შეზღუდვი გამოყენებამდე/ ყოველი გამოყენების შემდგომ, დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით;
- მოხმარებლისათვის განკუთვნილი უნდა იყოს ინდივიდუალური პირსახოცი - ერთჯერადი შეფუთვით. სარგებლობის შემდეგ პირსახოცი რჩება ადგილზე. მომსახურე პერსონალი, აღჭურვილი ხელთათმანებით, ნიღბით, სპეცფეხსაცმლითა და ხალათით, პირსახოცებს აგროვებს ერთჯერად პარკში და განათავსებს ნიშანდებულ კონტეინერში.
- რეცხვა-დეზინფექცია განხორციელდეს ამ წესით განსაზღვრული რეკომენდაციების შესაბამისად;
- შეზღუდვებს შორის დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არა ნაკლებ 2 მეტრისა) გამონაკლისის გავრცელება შესაძლებელია 12 წლამდე მოზარდზე;
- აკრძალეთ შეზღუდვებისთვის განკუთვნილი რბილი, შეწოვადი გადასაფარებლების გამოყენება;
- უზრუნველყავით გასახდელების და საშაპეების ხშირი დასუფთავება და დეზინფექცია;

მოთხოვნები აუზებში სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ხარისხისადმი:

- ღია და დახურული ტიპის აუზებში სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის გამოყენების შემთხვევაში წყლის ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები განსახვავებულია და უნდა აკმაყოფილებდეს „სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხისა და მინერალური წყლის ხარისხისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის №310/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- მინერალურ წყლის ორგანოლეპტიკური თვისებები დამოკიდებულია მის ქიმიურ შემადგენლობაზე და უნდა შეესაბამებოდეს ცხრილში მოცემულ მაჩვენებლებს:

მინერალური წყლის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

მაჩვენებელი	დახასიათება
ფერი	უფერო სითხე ან მოყვითალოდან მომწვანო ელფერით
სუნი და გემო	დამახასიათებელი წყალში გახსნილი ნივთიერებების კომპლექსებისთვის
გარეგნული სახე	გამჭვირვალე სითხე, უცხო მინარევების გარეშე, მინერალური მარილების უმნიშვნელო ბუნებრივი ნალექით

- მინერალური წყლის (გარეგანი და შინაგანი მოხმარების) ეპიდემიური უსაფრთხოება განისაზღვრება მისი ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების ჰიგიენურ ნორმატივებთან შესაბამისობით. მინერალური წყლის ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს „სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხისა და მინერალური წყლის ხარისხისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის ბრძანება №310/ნ დანართი 2-ის მე-4 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს;

- მინერალური წყლის სინჯების გამოკვლევა, მისი შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების დაცვით (ტემპერატურა, კონსერვაციის მეთოდი, ნიმუშის ასაღები ჭურჭელი) უნდა ჩატარდეს შემდეგ ვადებში: ტემპერატურა, აირთა შედგენილობა, წყალბადიონის მაჩვენებელი, რკინა (II), ჰიდროკარბონატი, კარბონატი, ამონიუმი, ნიტრიტები – ადგილზე, ზოგადი ქიმიური მაჩვენებლები – სინჯის აღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის მინერალური წყლის მაქსიმალურად რეკომენდებული შენახვის ვადაა – 6 საათი;
- აუზების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს მინერალური წყლის ხარისხის საწარმოო – ლაბორატორიული კონტროლი შემდეგი მაჩვენებლების განსაზღვრით და ნიმუშის აღების ჯერადობით:
 - მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები (№310/ნ ბრძანების დანართი 2-ის მე-4 ცხრილის მიხედვით) და აუზის წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებული რეაგენტების ნარჩენი რაოდენობის შემცველობა – 10 დღეში ერთხელ;
 - ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები (სიმღვრივე, ფერიანობა, სუნი) – დღეში ერთხელ, დღის ან საღამოს საათებში;
 - გამაუსნებლოვნებელი რეაგენტების (ქლორი, ბრომი, ოზონი) ნარჩენი რაოდენობის შემცველობა – აუზის მუშაობის დაწყების წინ და შემდგომ.
- სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდეს აუზების წმენდისა და დეზინფექციის ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად.

აუზის აბაზანებში წყლის ხარისხის მაჩვენებლები და ნორმატივები:

მაჩვენებლები	ნორმატივები
ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები	
სიმღვრივე მგ/დმ, არა უმეტეს	2
ფერი გრადუსებში, არა უმეტეს	20
სუნი ბალებში, არა უმეტეს	3
ამონიუმის აზოტი, მგ/დმ ³	დაიშვება არა უმეტეს 2-ჯერ მომატება საწყის შემცველობასთან შედარებით
ქლორიდები, მგ/დმ ³	დაიშვება მომატება არა უმეტეს 200 მგ/დმ ³ -ით საწყის შემცველობასთან
ნარჩენი ქლორი:	
თავისუფალი, მგ/დმ ³	არა უმეტეს 0,5
ნარჩენი ოზონი მგ/დმ ³	არა უმეტეს 0,1
ნარჩენი ბრომი, მგ/დმ ³	არა უმეტეს 0,8-1,5
ძირითადი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები	
კოლიფორმები 100 მლ-ში	არ უნდა აღმოჩნდეს
თერმოტოლერანტული კოლიფორმები 100 მლ-ში	არ უნდა აღმოჩნდეს
კოლიფაგი 100 მლ-ში, არა უმეტეს	2
ლეციტინაზოდადებითი სტაფილოკოკები 1000 მლ-ში	არ უნდა აღმოჩნდეს
დამატებითი მიკრობიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები	
ინფექციური დაავადებების აღმმდელები 100 კლ-ში	არ უნდა აღმოჩნდეს
ლურჯჩირქმბადი ჩხირები 1000 მლ-ში	“
ლამბლიების ცისტები 50 ლ-ში	“
ჰელმინთების კვერცხები და ჭუპრები 50 ლ-ში	“

მოთხოვნები საუნებისა და აბანოებისადმი

- აბანოებსა და საუნებში უნდა მოეწყოს საშხაპეები, რომელთა დეზინფექცია უნდა მოხდეს სათანადო წესით და პერიოდულობით (არანაკლებ 2 საათში ერთხელ);
- აბანოებსა და საუნებში შეიძლება მოეწყოს ასევე, სამასაჟო სივრცე (მაგიდით, კარადითა და ნიუარით);
- აბანოებში შესაძლებელია ბუნებრივი ვენტილაცია ორგანიზებული ჰაერის ნაკადის მიწოდების გარეშე. ჰაერის მოწოდებისას არ უნდა იყოს დაქროლვის (დაბერვის) შეგრძნება;
- გასახდელში, გასასაპნ-დასაბანში, საშხაპესა და სააბაზანო კაბინებში ჰაერის მიწოდების სიჩქარე არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას;
- წყლის ხარისხი, რომლითაც მარაგდება აბანო/საუნა უნდა შეესაბამებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით განსაზღვრულ პარამეტრებს;
- განსაკუთრებული შემთხვევისათვის (წყლის შეწყვეტა და სხვ.) სასურველია აბანოს ჰქონდეს მისი წარმადობის შესაბამისი ტევადობის სათადარიგო აუზი;
- აბანოს/საუნის შენობებში განთავსებული აღჭურვილობა უნდა ექვემდებარებოდეს გარეცხვასა და დეზინფექციას სათანადო წესით;
- მთელი სამუშაო დღის განმავლობაში გასახდელ, გასასაპნ-დასაბან, საშხაპე, საორთქლე და სხვა სათავსებში დაცულ უნდა იქნეს სისუფთავე;
- სააბაზანო-საშხაპე კაბინებში, ყოველი სარგებლობის შემდეგ, უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი დასუფთავება და დეზინფექცია;
- ყოველდღე, აბაზანის დახურვის შემდეგ, უნდა მოხდეს მთელი შენობის ინვენტარისა და აღჭურვილობის საფუძვლიანი დასუფთავება. გენერალური დალაგება-დასუფთავება უნდა მოეწყოს არანაკლებ კვირაში ერთხელ;
- გასასაპნ-დასაბან და საორთქლე სათავსებში უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის დალაგება-დასუფთავება:
 - დასაჯდომები უნდა გაირეცხოს უხეში ჯაგრისით, ცხელი წყლით, მარილმჟავით ან სოდით და განხორციელდეს ჩარეცხვა ჭავლის გამოყენებით; კედლების პანელები, გამოწეული კონსტრუქციები, მილგაყვანილობა, გასანათებელი და გასათბობი საშუალებები, ფანჯრის მინები და სხვა უნდა გაირეცხოს ჯაგრისით;
 - იატაკები უნდა გაიწმინდოს ჯაგრისით, უწყვეტი წყლის ნაკადის ქვეშ;
 - იატაკის გაწმენდის შემდეგ უნდა ჩამოირცხოს კედლები და აღჭურვილობა შლანგით, ცხელი წყლით;
- გასახდელის აღჭურვილობა უნდა გაიწმინდოს 0,5%-იანი ქლორიანი კირით ან ქლორამინით;
- იატაკი გასახდელში უნდა გაიწმინდოს ჯაგრისით, სარეცხი ფხვნილით ან ტუტიანი ხსნარით და შემდეგ მოირცხოს;
- სველი ქიმიური დეზინფექცია, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ;
- აბანოს აუზში წყალი განუწყვეტლივ უნდა იცვლებოდეს და სუფთა წყალი უნდა მიეწოდებოდეს მუდმივად;
- შეიძლება დაშვებულ იქნეს აუზში წყლის მიწოდების რეცირკულაციური სისტემა, წყლის გაწმენდის, ქლორირების და ყოველდღიურად არანაკლებ 10% სუფთა წყლის დამატების პირობით;
- დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ უნდა მოხდეს აუზის მექანიკური გაწმენდა, წყლის წინასწარი დაცლის შემდეგ. გაწმენდა მდგომარეობს კედლებიდან და ფსკერიდან ნალექისა და ლორწოს მოშორებაში. გაწმენდას აწარმოებენ ჯაგრისით მარილმჟავით ან ტექნიკური სოდით და ჩარეცხავენ წყლით შლანგებით.

უსაფრთხოების დამატებითი ზომები აუზზე არსებული სათავსების მიმართ:

- აუზის და მისი დამატებითი სათავსების დალაგება-დასუფთავება უნდა განხორციელდეს დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ დღეში ერთხელ, დროის იმ შუალედში, როცა ვიზიტორი არ იმყოფება ტერიტორიაზე;
- დაასუფთავეთ ჯერ შედარებით სუფთა, შემდეგ უფრო დაბინძურებული არეები;
- დაუშვებელია მშრალი დაგვა და მტვრის გადაწმენდა, რათა თავიდან ავიცილოთ მტვრისა და

- მიკროორგანიზმების მოხვედრა ჰაერში და სუფთა ზედაპირებზე;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასუფთავებას და ხშირად დაბინძურებადი სივრცეების სანიტარიული კვანძი (საშაპე/სააბაზანო და ტუალეტი) ზედაპირების დასუფთავებასა და აუცილებელი წესით დეზინფექციას;
 - დალაგებისა და დეზინფექციის ყოველი პროცედურის დასრულების შემდგომ გააკეთეთ შესაბამის აღნიშვნა სპეციალურ სააღრიცხვო ფორმაში;
 - საერთო სარგებლობის სივრცეების დალაგება/დეზინფექცია უნდა მოხდეს სველი წესით, „ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების სათანადო დანართის შესაბამისად;
 - მომსახურე პერსონალს ჩაუტარეთ დამატებითი ტრენინგი - მაღალი კონცენტრაციის საშუალებების გამოყენების და შენახვის წესებზე;
 - დასამუშავებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველი ხსნარი;
 - არაფორმავან საწმენდ მასალებს გაუკეთეთ დეზინფექცია 0.5% ნატრიუმ ჰიპოქლორიტის ხსნარით ან სხვა ქლორის შემცველი ხსნარით, კანონმდებლობის შესაბამისად;
 - ტექნიკოსის/ინჟინრის ყოფნის აუცილებლობის შემთხვევაში აღჭურვეთ ის სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: სახის დამცავი ფარი/სათვალე, ნიღაბი, ხელთათმანი.

დამლაგებლის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

- ერთჯერადი სამედიცინო ნიღაბი;
- სპეც-ფორმა და ზემოდან ერთჯერადი ხალათი, სრული სახელოებით;
- სპეციალური/სქელი ხელთათმანი (მრავალჯერადი);
- თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი);

კორონავირუსზე სავარაუდო სიმპტომების მქონე და დაინფიცირებულ ვიზიტორთა მონიტორინგი:

- თუ ღია/დახურული ტიპის აუზის შესასვლელში/ტერიტორიაზე დაფიქსირდა პირი, რომელსაც აღნიშნება კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სავარაუდო სიმპტომი, ამისათვის სათანადო გამოყოფილი პერონალი ვალდებულია განახორციელოს საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმით გათვალისწინებული პროცედურები, მათ შორის დაუყონებლივ აცნობოს 112-ცხელ ხაზს;
- ასეთ შემთხვევაში პერსონალი უნდა მოერიდოს აღნიშნულ ვიზიტორთან მჭიდრო კონტაქტს და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გამოიყოს დროებითი იზოლირებული ოთახი, სხვა მომხმარებლებთან კონტაქტის შესამცირებლად;
- იმ შემთხვევაში, თუ პერსონალს მოუწევს აღნიშნულ სავარაუდო სიმპტომის მქონე პირთან კონტაქტი, მნიშვნელოვანია დაცული იქნეს სათანადო დისტანცია და გამოიყენოს სპეციალური დამცავი აღჭურვილობა;
- იმ სიტუაციებისთვის როდესაც სავარაუდო სიმპტომის მქონე ვიზიტორმა დატოვა ტერიტორია/ოთახი, მოქმედებს განსაკუთრებული დასუფთავების და დეზინფექციის გეგმა, რომელიც გულისხმობს დალაგებამდე ტერიტორიის სრულ დეზინფექციას და საფუძვლიან განვითარებას. მხოლოდ ამ პროცედურების შემდგომ განხორციელდეს ტერიტორიის დასუფთავება/დალაგება.

მოთხოვნები დამსაქმებულთა მიმართ:

- დამსაქმებელი ვალდებულია თანამშრომლები აღჭურვოს სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
 - ნიღაბი;
 - ხელთათმანი;
 - საჭიროების შემთხვევაში, დამცავი სათვალე და/ან სახის დამცავი ფარი;
 - სპეციფიკური სამუშაოს შემთხვევაში - სპეცტანსაცმელი.
- თანამშრომელთა ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ სრულყოფილი ინფორმაცია ჰიგიენისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ, მათ შორის - ხელის ჰიგიენის, ნიღბის, ბაზილების და ხელთათმანის გამოყენების, აგრეთვე, მათი მორგების, ტარების მოხსნისა და მოცილების (ნარჩენების კონტეინერში განთავსება) შესახებ;
- უზრუნველყოფით ნარჩენების მართვა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. არ დაუშვათ კონტეინერების გადავსება და უზრუნველყოფით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება მათი დაცლისას. მოახდინეთ ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;
- დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდეთ ზუსტი ინფორმაცია დასუფთავების ჰიგიენური პრაქტიკისა და უსაფრთხო ღონისძიებების, აგრეთვე სარეცხი/სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესების შესახებ;
- განახორციელეთ მონიტორინგი პერსონალის მიერ დალაგებისა და დეზინფექციის პროცედურის ჯერადობასა და ხარისხზე;
- დამსაქმებელი ვალდებულია განახორციელოს მონიტორინგი ამ წესით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებაზე.

მოთხოვნები ვიზიტორთა მიმართ:

- ტერიტორიაზე არსებულ დახურულ სივრცეებში არ გამოცხადდეთ ნიღბის გარეშე;
- დაიცავით ჰიგიენის წესები.

დასაქმებულთა ვალდებულებები:

- ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას, შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:
- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყობი, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური საშუალებები. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.